# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 20 აგვისტო 1900 წ. № 1215

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**


## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ; წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**18 აგვისტო**

**იოკოგამა.** რადგანაც ჩინელებმა ცეცხლი წაუკიდეს იაპონელ ტაძარს ამოიში, ფორმოზიდან გაგზავნეს სამშაბათს იქითკენ იაპონიის გარნიზონის ხუთი როტა; აქვე გადმოიყვანეს წინდაწინვე ზღვაოსანთა რაზმი ორი კრეისერიდან.

გენერალ იამაგუჩი დეპეშით იტყობინება შესახებ ელჩების და ჯარების უფროსების თათბირისა, რომელიც მომხდარა წარსულ შაბათს. დაადგინეს დაიცვან ისევ საიმპერატორო ქალაქის კარები: სამხრეთი კარები ამერიკელებს ჩააბარეს, სხვა—იაპონელებს. გადაწყვეტილია 15 აგვისტოს, ნიშნად პეკინის აღებისა, გაიარონ მარშით იმპერატორის ქალაქი.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება ბელფასტიდან 17 აგვისტოს, რომ, როგორც ვატერვალბოვენის და ვატერვალონდერის აღების ცნობებიდან სჩანს, ბულერს უკავია პოზიცია, რომელიც ბატონობს ნოიტგედახტს, რომელიც, ცხადია, ბურებს მიუტოვებიათ. მკვიდრნი ამბობენ, რომ კრიუგერი და ბურების მთელი რაზმი გუშინ პალაგრიმსრესტისაკენ წავიდნენ.

**ჰონკონგი.** კანტონიდან მოსულ ცნობებით, კანტონის მმართველის თანამდებობის აღმასრულებელმა ბრძანა ყველა ჩინურ გაზეთების გამოცემის შეჩერება ტყუილ ხმების გავრცელების გამო შესახებ ჩინელ ჯარების გამარჯვებისა. ეს განკარგულება მეტად გონიერ ღონისძიებად მიაჩნიათ. ჰონკონგში ჩინელები მეტად გაბრაზებულნი არიან იაპონელებზე ქცევის გამო ამოიში და ამტკიცებენ, რომ მთელი ვაჭრობა შეჩერდა. ფუკიენის პროვინციაში მეტად შიშობენ, რომ არ დაიწყოს აჯანყება უცხოელების წინააღმდეგ. ჩინელები აცხადებენ, რომ ამისი მიზეზი იაპონელები იქნებიანო.

### სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ უცხოელები შანხაიში. 1870-ში შანხაიში იყო 1666 უცხოელი, ამათგან 894 ინგლისელი და 3 რუსი. უკანასკნელ ოცდა-ათ წლის განმავლობაში უცხოელების რიცხვი აგიდა 6,774 ამდე, ამათგან 2,691 ინგლისელია და 47 რუსი, ასე რომ თუმცა რუსების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 15-ჯერ გამრავლდა, ინგლისელებთან შედარებით სრულებით უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენს. საინტერესოა იაპონელების რიცხვის თან და თანი მატება შანხაიში. 1870-ში, როცა იაპონიამ გაღვიძება დაიწყო, აქ იყო მხოლოდ შვიდი იაპონელი, მაგრამ 1890-ში ამათი რიცხვი 386-მდე ავიდა. ჩინეთ-იაპონიის ომმა ეს რიცხვი ძლიერ შეამცირა: 1895-ში შანხაიში იყო მხოლოდ 250 იაპონელი, სამაგიეროდ, როცა გამარჯვებამ მტკიცე და ღირსეული ადგილი შესძინა იაპონელებს ჩინეთის იმპერიაში, მათი რიცხვი შანხაიში მეტის სისწრაფით გაიზარდა და 1900 წლის აღწერით მათი რიცხვი 736-მდე ავიდა.

რა ხელობის ხალხია ეს შანხაელი უცხოელები? უმრავლესობას ვაჭრები და მათი ნოქრები შეადგენენ—ვაჭარია 315, ნოქარი 513. ბანკებში მოსამსახურეთა რიცხვი 87-მდე ადის; არტისტი ორია და წიგნის მოვაჭრე 3. შანხაელი უცხოელი გამდიდრებაზედ ჰფიქრობს, მას არ სცალია წიგნების კითხვისათვის, სამაგიეროდ გაზეთს ყველა ჰკითხულობს, ჰსურს გაიგოს სად რა ამბავი ხდება, რადგანაც ისეთ ადგილას, როგორიც შანხაია პოლიტიკა და ვაჭრობა მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. გაზეთი ყველა საჭირო ცნობებს იძლევა, ამიტომაც აქ ოცამდე ჟურნალისტია. 44 მისიონერი და 23 მღვდელი ასწავლის შანხაელებს სარწმუნოებას და კეთილ საქმეებს, მათთვის კი, ვინც, მიუხედავათ ამისა, უსჯულოთა გზაზე სიარულს რჩეობს, არის 18 სატუსაღოს მცველი, პოლიციის ორი რაზმი—უცხოელთ რაზმი რომელიც 81 კაცისაგან შესდგება, და ინდოელების რაზმი, 161 კაცისაგან შემდგარი. მეცნიერების და ხელოვნების მასწავლებელნიც არ აკლია ქალაქს: პირველთა რიცხვი—37-ია, მეორეები—6; გარდა ამისა აქვე არის 37 დამკვრელი და 9 დრამატიულ ხელოვნების წარმომადგენელი. უსაქმოთა რიცხვი სულ 30; საავადმყოფოში წევს 35; დატუსაღებულია სულ 2 კაცი. ქმიები 20-ია, ქვრივი ქალი—10, ნამდვილი ქალი—9. მოხელების რიცხვი ერთობ ბევრია—210-ზე მეტი. შანხაელს შრომის შემდეგ ქეიფიც უყვარს, ამიტომ ქალაქში რამდენიმე რესტორანია; პარიკმახერების რიცხვი შედარებით დიდია—22. სამაგიეროდ მესაფლავე მხოლოდ ერთია.

∝ გაზეთებში დაბეჭდილია ედუარდ სეიმურის წერილი, სადაც აწერილია შეერთებულ ჯარების პირველი ლაშქრობა პეკინზე: «მთელ ჩვენ მგზავრობის დროს 40° სიცხე იყო და პირველ ხანებში საშინლად ვიტანჯებოდით წყურვილის გამო. რითი ვიკვებებოდით, ეხლაც არ ვიცი. ყველა ჩვენი ცდა, ავეღწია ტიანცზინთან მიმოსვლა, უნაყოფო იყო, რადგანაც მთელი მიდამოები ჩინელების ხელში იყო. საზვერავად გაგზავნილი ჩვენი რაზმები უკანვე ბრუნდებოდნენ და შიკრიკები, ერთის გარდა, ყველა მოგვიკლეს; ერთი კი მივიდა ტიანცზინში, მაგრამ გზაზე იგი იძულებული შეიქნა გადაეყლაპა მოხსენება, რომელიც მას მიჰქონდა. მაშველ ჯარის მოსვლის შემდეგ ჩვენ დავბრუნდით ტიანცზინისაკენ. თან გვეყვანდა 200-მდე დაჭრილები. ჩინელები განუწყვეტლივ გვესროდნენ და სცდილობდნენ ჩვენს დახრჩობას წყლის არხების გარღვევით.

იშვიათი მოვლენაა, რომ ვისმეს ბედმა არგუნოს რვა სულ სხვა და სხვა ტომის ჯარის კაცების უფროსობა; ამას დიდი ტაქტი სჭირია. ჩემ შესახებ უცხოელები მშვენივრად იქცეოდნენ და მე დიდის ცნობის მოყვარეობით ვაკვირდებოდი სხვა და სხვა ერების წარმომადგენლებს. მხნეობით და სრულის აღუშფოთველობით ყველას ამერიკელები სჯობდნენ. ფრანგებს განკერძოებით ეჭირათ თავი, ისინი არავის დაუახლოვდნენ. რუსები და გერმანელები ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანერთს; ამერიკელები სულ ჩვენთან იყვნენ, ისე როგორც იაპონელები, თუმცა უკანასკნელთ რუსებთანაც კარგი განწყობილება ჰქონდათ. ავსტრიელების და იტალიელების რიცხვი ერთობ მცირე იყო».

∝ ინგლისურ გაზეთებში დახასიათებულია კანგიი, დედოფალის საზინადარი, რომელსაც ბრალდება, რომ იგი იყო უმთავრესი დამნაშავე ეხლანდელის არეულობისა: «კანგიი სრულებით გაუნათლებელი და ცრუმორწმუნე ჩინელია. პირველად ის უბრალო გადამწერელი იყო. 1896-ში იგი დაინიშნა კანტონის გუბერნატორად. დანიშვნისათანავე კანგიი წავიდა დედოფალთან მადლობის გამოსაცხადებლად და თან წაუღო ძვირფასი საჩუქარი. აუდიენციის გათავებისათანავე იგი დანიშნულ იქმნა იმპერატორის კაბინეტის წევრად. ამის შემდეგ იგი შეიქმნა დედოფლის ერთგული მომხრე და სცდილობდა მოესპო ალემრა იმ ჩინელების წინააღმდეგ, რომელნიც უცხოელებს კარგის განწყობილებით ექცეოდნენ. იმპერატორის მიერ რეფორმების დაწყებამ ყველა კონსერვატორებს კანგიისთან მოუყარა თავი. ყველას მარტო მისი იმედი ჰქონდა, და გამართლდა კიდეც ეს იმედი: მან მიიმხრო დედოფალი, რომლის საშუალებითაც უგდება წაართვეს იმპერატორს და სიკვდილით დასაჯეს მისი მომხრეები».

გაზეთები ამბობენ, რომ სანამ კანგიი თავისუფალი იქმნება, შეუძლებელია ჩინეთში მშვიდობიანობა დამყარდესო.

∝ ხმა დადის,—ვითომც განზრახვა ჰქონდეთ დაარსონ პეკინში ისეთივე საერთაშორისო კომისია, როგორიც იყო დაარსებული კრეტაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

∝ პოლონელ მხატვარს კოსსაკს, რომელმაც სახელი გაითქვა საბრძოლის-ველო მხატვრობით, გერმანიის

იმპერატორმა ვილჰელმმა წინადადება მისცა წაჰყოლოდა გრაფს ვალდერზეეს ჩინეთში. პოლონელმა უარი შეუთვალა და ის მოიმიზეზა, რომ ბევრი სავალდო სამუშაო მაქვს და არ შემიძლიან მივატოვო იგიო.

∝ გერმანიის ელჩის კეტტელერის მოკვლის შესახებ შემდეგ ახალ ცნობებს იტყობინებიან: «გერმანიის ელჩი მოჰკლეს პოლიციელებმა უმაღლესის მთავრობის ბრძანებით. მას დაუწყეს ცემა უკანიდან, როცა იგი ცუნგ-ლი-იამენში მიდიოდა. პეკინის აღების მეორე დღეს ერთმა ჩინელმა უჩვენა გერმანელებს ადგილი, სადაც დამარხული იყო კეტტელერი. ჯარისკაცებმა გასთხარეს საფლავი და ნახეს შიგ ელჩის გვამი, ჩინურ კუბოში ჩადებული. კეტტელერს დაასაფლავებენ ქრისტიანულის წესით.

გერმანიის საელჩოს თარჯიმანი კორდესი, რომელიც დასჭრეს კეტტელერზედ თავ-დასხმის დროს, ეხლა კარგად არის.

∝ გერმანიის ზოგიერთი გაზეთები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ გერმანულ გაზეთების უმრავლესობის და ტელეგრაფის სააგენტოების წინააღმდეგ, რომელნიც გრაფის ვალდერზეეს მოგზაურობას რაღაც ტრიუმფალურ მოგზაურობად ჰხატვენ. «უნდა წარმოვიდგინოთ,—ამბობს ერთი გაზეთი,—რომ არც ერთ ბრძოლის ველზე გამარჯვებულ მხედართ-მთავარს არ შეხვედრიან ისეთის ზარითა და ზეიმით, როგორც ჩინეთში მიმავალს გენერალს. როცა გრაფი გერმანიაში დაბრუნდება, ჩვენი მტრები უთუოდ გადაშლიან ამ სურათებს და შეადარებენ,—რამდენად შეეფერებოდა ეს ბუკითა და ნაღარით დაწყებული მზადება შედეგსა და მიღწეულს მიზანს. დაფნის გვირგვინი, გამარჯვებამდე მოკრეფილი, მალე ჭკნება.»

∝ ლონდონში მყოფ იაპონიის ელჩის ბარონ გაიაშის აზრით, უცხოელებს ძალიან გაუჭირდებათ ჩინეთიდან ზარალისათვის ფულის მიღება მანჯურიის დინასტიის დაუმცრობლად მის ქვეშევრდომთა თვალში. ამ დინასტიას თუ ემორჩილებოდა ხალხი, ეს მორჩილება შიშით იყო გამოწვეული,—დინასტია მას ძლიერი ეგონა. მოკავშირეებს ძნელი საქმე მოელით,—მიიღონ ზარალისთვის დიდძალი ფული და დაუმალონ ჩინელებს, თუ რამდენად ფუჭი და უნიადაგოა ჩინეთის იმპერატორის დიდი პრეტენზიები. სასიცოცხლო ძალა გამოელია ეხლანდელ დინასტიას; მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ამ დინასტიის გადაყენება, რადგანაც ამას მოჰყვება საშინელი ანარქია მთელს ჩინეთში. რომ ეს გარემოება არა, კარგი იქნებოდა მოშორებოდა ჩინეთს ეს უცხო ტრადიციების მტარებელი და მავნებელ დაწესებულებაზედ დამყარებული დინასტია.

გაიაში ამტკიცებს, რომ ერთი მავნებელი დაწესებულებათაგანი ეგრედ-წოდებული «საეგზამენო კომისია», რომლისგანაც დამოკიდებულია ჩინეთის მთელი გონებრივი ცხოვრება და სახელმწიფო თანამდებობებზე კანდიდატების გაწესება. მაგრამ რევოლიუციოდ თითქმის შეუძლებელია მოისპოს ეს მავნებელი დაწესებულება, რომელიც მეტად უშლის ხელს ჩინეთში ევროპის კულტურისა და მეცნიერების გავრცელებას.

სატახტო ქალაქის ზღვის ნაპირთან ახლოს გადატანა, გაიაშის აზრით, შეუძლებელია ჩინეთის ერის დაუთანხმებლად. მარტო ძალ-დატანებით შეიძლება აიძულონ გადავიდეს ჩინეთის იმპერატორი ახალ რეზიდენციაში.

∝ ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ იოკაჰამიდან, რომ კორეას არეულობა იქ დიდ საზრუნავ საგანს შეადგენს. იაპონელების აზრით, კორეელების აჯანყება იმდენად გაძლიერდება, რომ იაპონიის ახალშენი, რომელსაც აქამდისაც დიდი ზარალი მოუვიდა, საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება.

განზრახვა აქვთ გაგზავნონ იაპონელი ჯარები კორეაში. ახალი გამარჯვებებით გამხნევებული იაპონია არაფრის წინ უკან არ დაიხევს, თუმცა რუსეთთან კონფლიქტი მოსალოდნელია.

∝ ბერლინიდან იწერებიან: «მართებლობის წრეებში ამტკიცებენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ გამოარკვიონ ჩინეთში მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობები, სანამ არ მიიღებენ თავიანთ ელჩებიდან დაწვრილებით მოხსენებებს. ეს მოხსენებანი მოაღწევენ ევროპაში მას შემდეგ, როცა ვალდერზე ჩინეთში მივა. ამიტომ სამხედრო მოქმედება ამ მოკლე მომავალში არ იქნება შეჩერებული».

## ახალი ამბავი

✦ ამ დღეებში, უწმინდესის სინოდის განკარგულებით, ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ლეონიდი დაინიშნა იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად, რომელსაც განაგებდა განსვენებული ბესარიონი. ეპისკოპოსმა ლეონიდმა, მღვდელი სოლომონ ოქროპირიძის შვილმა, სწავლა მიიღო სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა კურსი. ჯერ ისევ აკადემიაში იყო, როდესაც თხოვნა წარუდგინა ბერად მიეღოთ და 1887 წლის 19 ივნისს აღკვეცილ იქმნა ბერად, ხოლო ამავე წლის 29 ივნისს აღყვანილ იქმნა იეროდიაკონის ხარისხში. 1888 წელს მაისის 2-ს ხელდასხმულ იქმნა იერომონახათ. იმავე წლის 14 ივნისს მიიღო ღვთის მეტყველების კანდიდატობის ხარისხი. დაამთავრა რა აკადემიაში სწავლა, თანხმად მისი თხოვნისა და საქართველოს ექსარხოსის განკარგულებისა, ლეონიდი დანიშნულ იქმნა ინსპექტორად კავკასიის მართლმადიდებლობის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებისა და ზაქათალის ოლქის მისსიონერად. 1889 წ. 1 იანვარს ებოძა ენქერი გულ-მოდგინეთ სამსახურისათვის და სამაგალითო ცხოვრებისათვის.

1889 წ. აგვისტოს 2-ს საქართველოს ექსარხოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ დაჰნიშნა ლეონიდი საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს წევრად.

1892 წ. 15 მაისს მისიონერად ყოფნის დროს სასარგებლო მოღვაწეობისათვის ებოძა გულის ჯვარი.

დავალებულ თანამდებობათა სამაგალითო აღსრულებისათვის 1892 წ. 1 ნოემბერს აღყვანილ იქმნა იგუმენის ხარისხში და დაინიშნა ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად.

1893 წ. მაისის 6-ს უწმიდესი სინოდის განკარგულებით ლეონიდი აღყვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ხირსის წმინდა სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად და ამავე წლის ნოემბერში ყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის ვლადიმერის განკარგულებით დაინიშნა საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად.

გულმოდგინე სამსახურისათვის უმაღლესად ებოძა ორდენი წმ. ანნასი მე-3 ხარისხისა 1896 წ. 15 მაისს. ხოლო იმავე წლის ნოემბრის ათს უწმინდესი სინოდის განკარგულების თანახმად ლეონიდი დაინიშნა სინოდალურ კანტორის წევრად. გაანთავისუფლეს სხვა თანამდებობათაგან, ხოლო დაავალეს თავმჯდომარეობა დაბადების შემსწორებელ კომიტეტისა.

1897 წ. დაინიშნა საქართველოს საეკკლესიო მუზეუმის თავმჯდომარედ და იმავე წელს წმ. იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვრად.

უმაღლესის ბრძანებით 1898 წელს არხიმანდრიტ ლეონიდეს ებოძა ეპისკოპოსობა და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად და საქართველოს საექსარხოსოს პირველ ვიკარად.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც უნდა გადასინჯოს საშუალო სკოლების პროგრამები. ამიტომაც ბ-ნი იანოვსკი მეორედ წავა პეტერბურგში მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

✦ პარასკევს, 18 აგვისტოს, საღამოს სხდომაზე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, განიხილა რა საქმე მომავალ 1901 წელში კავკასიის სამეურნეო გამოფენის შესახებ, საბოლოვოდ გადასწყვიტა გამართოს გამოფენა ალექსანდრეს ბაღში. 1889 წელს გამართულ სამეურნეო გამოფენისათვის საზოგადოებას დასჭირდა 1340 ოთხ-კუთ. საჟ. მიწა; ხოლო როგორც ეხლა გამოუანგარიშებიათ ალექსანდრეს ბაღში თავისუფალი მიწა გამოფენისათვის იქმნება სულ 3000 ოთხ-კუთ. საჟ. საზოგადოების საბჭო ალექსანდრეს ბაღში მით უფრო ინდომებს გამოფენის გამართვას, როგორც ქალაქის შუაგულ და მასთანვე საზოგადოების სადგომთან დაახლოვებით შემოკავებულ ადგილში. გამოფენის გამართვა შედარებით იმდენს ხარჯს არ მოინდომებს და ამასთანავე მცხოვრებთათვისაც დასამხარ ადგილზე იქმნება იგი გამართული, რასაც შემოსავლის მხრით მნიშვნელობა ექმნება. საბჭომ ამასთანავე დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას დაუთმოს გამოფენისათვის ალექსანდრეს ბაღი იმ პირობით, რომ თუ დასჭირდა საზოგადოებას პატარა ბუჩქების და ყვავილების აღება (დიდს ხეებს ხელს არ ახლებენ) ისევ ისე ჩააბაროს იგი ქალაქის სამართველოს, როგორც მიიღებს. საზოგადოების საბჭოს იმდენად უხერხულად უცნია ალექსანდრეს ბაღს გარდა სხვა ადგილზე გამოფენის გამართვა, რომ თუ ვინიცობაა მან ნება ვერ მიიღო ბაღში გამოფენის გამართვისა, სულ ხელი უნდა აიღოს გამოფენის გამართვაზე.

✦ პარასკევს, 18 აგვისტოს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულ სასტატისტიკო ბიუროს კომისიამ განიხილა თხოვნები ბიუროში სტატისტიკოსის თანამდებობაზედ ოთხის კანდიდატისა—ბ-ნთ სვედენცოვისა, ფ. გოგიჩაიშვილისა, გოზალოვისა და სერ. ალექ.-ძის დანდუროვისა. წილისყრით ამორჩეულ იქმნა სერ. ალექსის-ძე დანდუროვი, რომელიც კომისიამ მოიწვია ბიუროში სტატისტიკოსად დროებით 1901 წლის 1-ლ იანვრამდე. სტატისტიკის ჯამაგირად იქმნება წელიწადში 1200 მანეთი, ხოლო გზის ხარჯი 200 მანეთი,

✦ მოსკოვიდან გვატყობინებენ: წელს ლაზარევის აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტი ორს ქართველს გაუთავებია: იას. ღვინიაშვილს და ტურიშვილს. ბ-ნს ტურიშვილს გასათავებელ თხუზულებისათვის შემდეგი ტემა აუღია: „საქართველოს მეფის ვახტანგის პოეტური მოღვაწეობა“. ეს პირველი მაგალითია ინსტიტუტში, რომ იქ კურს-დამთავრებულთ თხუზულებისათვის საქართველოს შესახებ აეღოთ ტემა.

✦ ამ დღეებში ტფილისში გამოვა საინტერესო ქართული წიგნი „ათონის კრებული“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ათონის ლავრის დამაარსებელთა ცხოვრება, მათი საგალობელნი, ათონის სინოდიკები, სადაც ნაჩვენებია, რომელმა ქართველმა რა სარგებლობა მიუტანა ათონის ივერიის მონასტერს, იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება. დამატებაში დაბეჭდილი იქნება გიორგი მთაწმინდელის და ილარიონ ქართველის ცხოვრება. წიგნი დამშვენებული იქნება ფოტო ტიპიებით (როინაშვილის ფოტოგრაფიის ნაკეთებია) და მთაწმინდის მოღვაწეთა სურათებით. გამოცემის ხარჯი საეკკლესიო მუზეუმისაა.

✦ „ლოტკის გორაზედ“ არის იჯარით გასაცემი 31 ნაჭერი მიწა, მსურველების რიცხვი კი 93-ია. ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა უპირატესობა ქალაქის მკვიდრ ცხოვრებთათვის მიეცათ. მაგრამ მთხოვნელებში მხოლოდ შვიდი გამოდგა ამისთანა. გამგეობამ გადასწყვიტა წილის ყრით საქმის გათავება.

✦ ქალაქის ინჟინრის თანამდებობის აღმასრულებელმა მელიქ-ბეგლიაროვმა მოსთხოვა გამგეობის არქიტექტორებს წარუდგინონ საამშენებლო სავალდებულო დადგენილებათა შესადგენად საჭირო ცნობები.

✦ ვერის მხარეს ტფილისის ადმინისტრატიულ წრედ აღნიშნულია ვარაზის ხევი და იმის ჩაყოლება, რომლის იქითაც იწყება მაზრა ტფილისისა. რადგან ქალაქმა ამ ადმინისტრატიულ წრეს იქით გაიწია და მრავალი შენობები კეთდება, ტფილისის გამგეობის წევრმა თ. ჩერქეზიშვილმა დაავალა მიწათმზომელს შეედგინა გეგმა იმ ადგილებისა ლისის ტბამდე, რათა გამგეობამ წარუდგინოს მთავრობას თხოვნა ამ წრის გადატანის შესახებ. ამით ქალაქს შემოსავალიც მოემატება და უფრო წესიერადაც დაიყოფა ახალი ადგილები სახლების ასაშენებლად და ქუჩების გასაყვანად, შედგენილი გეგმა ჩერქეზიშვილმა წარუდგინა გამგეობას, რომელმაც დაადგინა გეგმაში დამატებულ იქმნას ის ადგილებიც, რომელიც სომხების სასაფლაოს იქით არის წყნეთამდე.

✦ ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ბ-ნი ვერეტნიკოვი გადაჰყავთ ხარკოვში იმავე თანამდებობაზედ.

✦ რამდენიმე განათლებულ პირს განუზრახავთ გააშენონ საამხანაგოდ ყვირილის ახლო ამერიკულ ვაზზე დამყნილი ვენახები. საქმეს უკვე შესდგომიან და აშენებენ ვენახს 35 დესეტინაზე.

✦ როგორც იტყობინებიან, ჩაქვის ჩაის პლანტაციებში გაჩენილა რაღაც სოკო. სოკოს დაუწყეს წამლობა კირისა და გოგირდის ნარევით და კარგადაც მოუხდა.

✦ როგორც იტყობინებიან, სულ მოკლე ხანში რუსეთის ყველა რკინის გზებზე შემოღებული იქმნება **წითელი ჯვრის სასარგებლოდ** ერთი შაურის გადასახადი ყოველ სამგზავრო ბილეთზე.

✦ გუშინ-წინ, 18 აგვისტოს, საზღვარ გარედ წავიდა გუბერნიის ექიმი ტ. ქიქოძე; მისი თანამდებობის აღსრულება მიენდო გუბერნიის ექიმის თანაშემწეს ბ-ნ ბროძელს.

✦ ფინანსთა სამინისტრომ უკანონოდ იცნო საზოგადოებრივ დაწესებულებებში იმ პირთა სამსახური, რომელთაც სახელმწიფო სამსახურისათვის პენსია აქვთ დამსახურებული. ამიტომ ხსენებულ სამინისტროს განკარგულებით, იკრიბება ცნობები ამ პირებთა შესახებ, რადგანაც განზრახვა აქვთ გადაახდევინონ მათ უკანონოდ აღებული ფულები.

✦ უმართებულეს სენატის ახსნით, რკინის გზებზე ყველა მოსამსახურეების და მათი ოჯახების ექიმობის ხარჯი რკინის გზების საქმეა და ამიტომ ქალაქები სრულებით განთავისუფლებულნი არიან ხსენებულ ხარჯში მონაწილეობის მიღებისაგან.

✦ დაბა ახალ-სენაკიდან გვწერენ, რომ იქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდარა: 11 აგვისტოს ერთი იქაური ცნობილი ვაჭარი მიხ. წულეთსქირი ხეზედ ჩამომხრჩვალი უნახავთ. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ადგილობრივ საზოგადოებაში, რადგანაც თავის მოკვლის მიზეზი არავინ იცის.

✦ **საოპერო სეზონი** დაიწყება სახაზინო თეატრში 15 სექტემბრიდან. ტრუპპაში მოწვეულნი არიან ისევ ძველი არტისტები — პაპაიანი, ბორისენკო, გერასიმენკო, გორიაინოვი, აგნივცევი და სხვები. ახალ არტისტებთაგან განზრახვა აქვთ მოიწვიონ ქ-ნი ასტაფიევისა (სოპრანო) და ბ-ნი სვეტლოვი (ტენორი).

✦ დღეს, 20 აგვისტოს, ნემენცების ბაღში ბ-ნი საფაროვის მეთაურობით იქნება გამართული ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება 4 მოქმედებიანი კომედია „ეხლანდელი სიყვარული“. დასასრულ ჯენ მორისისაგან იქმნება ნაჩვენები ბუნდოვან სურათები „ვეფხის ტყაოსნიდან“.

✦ 18—19 აგვისტოს, ასე ღამის 12—1 საათზე, პოლიციის მეცხრე ნაწილში, კრასნოგორსკის ქუჩაზე ცოტას გასწყდა უბედურება არ მოხდა. ამ ქუჩაზე მცხოვრების ვაჭრის სულხანოვის ახალი ორსართულიანი სახლის, № 47, უკანა აივნის ერთი ნაპირი ყოფილა ამოშენებული და თუმცა სულ თითქმის რამდენიმე კვირის გაკეთებული ყოფილა, მაგრამ ისე ფუქსავატად, რომ, თავი ვერ შეუკავებია და გადმონგრეულა კედელი დაეცა იქვე ახლო მეზობლის სახურავს და ისეთი ბრახვანი მოადინა, რომ ძილში დაფეთებულნი შიშით აკანკალებულნი მცხოვრებნი კარში გამოცვივდნენ. კიდევ კარგი ღამით მოხდა ეს ამბავი და ამ დროს კარში არავინ იყო, თორემ უბედურება აუცილებელი იქმნებოდა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, მით უმეტეს, რომ წელს ერთი და ორი მაგალითი არ ყოფილა კედლებისა და სახურავების ჩამოქცევისა.

## საღამოს დეპეშები

19 აგვისტო

**პეტერბურგი.** მთავრობის განცხადება: „ამ უკანასკნელ დროს პეჩილის საომარ ასპარეზზე ისეთის მოულოდნელის სიჩქარით შეიცვალნენ გარემოებანი, რომ შეერთებულ ჯარების შედარებით უმნიშვნელო რაზმმა, რომლის დანიშნულება უცხოელ მისსიების და ქვეშევრდომების განთავისუფლება იყო, არა თუ მიაღწია ამ უმთავრესს მიზანს, არამედ განდევნა პეკინიდან აჯამყებულთა ბრბოები და მიიღო ზომები პეკინიდან მომავლის უზრუნველყოფისათვის. გარემოებათა ესე კარგად მობრუნება არ შესცვლის რუსეთის პოლიტიკურ პროგრამას, რომლის უმთავრესი საფუძველნი გამოქვეყნებულ იყვნენ მთავრობის წინანდელ განცხადებებში. რუსეთს, როგორც ნათქვამი იყო, არ გამოუცხადებია ომი ჩინეთისათვის; რუსეთის ჯარები შევიდნენ მეზობელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრულის მიზანით, რომლის უმთავრესი ნაწილი ეხლა მიღწეულია. რათა გაუგებრობას ადგილი არა ჰქონდეს და ცუდად არ ახსნან რუსეთის განზრახვანი, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბრძანა გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგეს გაუგზავნოს რუსეთის წარმომადგენელთ საზღვარ გარეთ ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეერთებულ ჯარების ჩინეთში გაგზავნის დროს იმპერატორის მთავრობა წარმოადგინა შემდეგი სახელმძღვანელო გეგმა: 1) მოკავშირეთა სრულ თანხმობის დაცვა, 2) ჩინეთის სახელმწიფო წეს-წყობილების ხელუხლებლობა, 3) თავიდან აშორება ყველაფრის, რაც ჩინეთის იმპერიას განაწილებას უქადიდა და 4) აღდგენა შეერთებულის ცდით პეკინში კანონიერ ცენტრალურ მთავრობისა, რომელსაც შეეძლება წესისა და მშვიდობიანობის დამყარება იმპერიაში; თითქმის ყველა სახელმწიფოებს შორის მოხდა შეთანხმება ამ მუხლების შესახებ. იმპერატორის მთავრობას არ აქვს სხვა განზრახვა, იგი მისდევდა და მისდევს შეურყევლად მოქმედების ზემოაღნიშნულ პროგრამას. როგორც კი დამყარდება მანჯურიაში მტკიცე წესრიგი და მიღებული იქნება ღონისძიება იმ რკინის გზის სრულ უზრუნველყოფისათვის, რომლის გაყვანა ნებადართულია განსაკუთრებულ ფორმალურ შეთანხმებით ჩინეთთან, რუსეთი დაუყოვნებლივ გამოიყვანს თავის ჯარებს მეზობელ იმპერიის საზღვრებიდან თუ, რასაკვირველია, სხვა სახელმწიფოების მოქმედებამ არ შეუშალა მას ხელი. ცხადია, რომ უცხოელ სახელმწიფოების და საერთაშორისო საზოგადოებების ინტერესები როგორც რუსეთისაგან დაპყრობილ ნავთ-სადგურ ნიუჩუანში, ისე რკინის გზებზედაც, რომლებიც რუსის ჯარებმა აღადგინეს, დაურღვეველნი და სრულიად უზრუნველყოფილნი იქნებიან. როგორც კი ჩინეთის კანონიერი მთავრობა ხელს მოჰკიდებს ქვეყნის მართვა-გამგეობას და დანიშნავს სათანადო მინდობილობით აღჭურვილ პირებს სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად, რუსეთი, ყველა უცხოელ სახელმწიფოებთან თან-

ხმობით, დანიშნავს თავის რწმუნებულებსაც და გაგზავნის მათ იმ ადგილას, რომელიც არჩეულ იქნება მოლაპარაკების გასამართავად“.

ზემოდ მოყვანილ ცირკულიარის უცხოელ მთავრობებისთვის გადასაცემად გაგზავნის შემდეგ ებრძანა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს გირსს და გენერალ-ლეიტენანტს ლენევიჩს, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ უმაღლეს განზრახვათა სისრულეში მოყვანას შესახებ რუსეთის მისიის, რუსეთის ქვეშევრდომების და სამხედრო რაზმის გადაყვანისა ტიანცზინში, რასაკვირველია ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით.

18 აგვისტოს გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი თეოდორ ლოგინისძე გეიდენი.

პეკინის აღების სახსოვრად გამოსჭრიან მედალს შემდეგის წარწერით: „ადამიანები და არა კედლები შეადგენენ ქალაქს“.

**ტაკუ.** პეკინში ისევ დიდი ძარცვა-რბევაა. ჩინელ ქრისტიანების რაზმი თითქმის სამი თვის განმავლობაში გაუმაგრდა ჩინელ ჯარისკაცებს და „მოკრივეებს“ და იცავდა ინგლისელ მისიონერს და მისს ოჯახს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება ბელფასტიდან 18 აგვისტოს, რომ მტკიცდება ხმა ბურების მიერ 800 დატყვევებულ ინგლისელების განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ჯერ აფიცრები არ მოსულან გარბერტონში. ტყვეები ამბობენ, რომ კრიუგერი, შტეინი, ბოტა, შოლკ-ბურგერი და ლუკა მეიერი წავიდნენ რკინის გზით ნელს პრუიტში. უფროსმა გრობლერმა, როგორც რობერტსი იტყობინება, გაგზავნა პაქეტისაკენ 34 ინგლისელი ტყვე, რომელნიც მის ხელში იყვნენ.

**პეტერბურგის ბირჟა 18 აგვისტოს**

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 96 | — | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 322 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 275¼ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 209¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | 88 | — | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 97 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. | 8½ კ. |
| სუკი . . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | 8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 5 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. 1 | გ. | 5 კ. |
| » » | II | » » | » | 3½ » |
| » » | III | » » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » » | » | 5 » |
| » » | II | » » | » | 4 » |
| » » | III | » » | » | 3½ » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » » | » | 6 « |
| » » | II | » » | » | 4 « |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზალზე: | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. კ. | მ. კ., | |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . . | 1 | —მ.—70 | კ. |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 65 | —— |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | —— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 65 | —— |
| ხახვი . . . . . . . | 1 | — 10 | —— |
| თივა . . . . . . . | 1 | — 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — 23 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწურბებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ისიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. | — კ. | № 4—6 | მ | 75 კ |
| № 1—8 | » | 25 » | № 5—6 | » | 50 » |
| № 2—7 | » | 75 » | № 6—6 | » | — » |
| № 3—7 | » | 25 » | № 7—5 | » | 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.

„ ფუშხნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გასუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% მავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.


# უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

## დამზღვევ საზოგადოებაში

# „როსსია“-ში

საზოგადოება „როსსია“ სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს** კერძო პირთ ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უამპიროობოდაც.

**აზღვევს** მგზავრებს რკინის გზებითა და ზღვითა და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს** ერთობლივად ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს** ერთობლივად ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევისაგან
სასყიდელი 4.500,000 მან. მეტი.

მსურველთა განცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველგვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს.-პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე **რკინის გზების** მთავარ-სადგურზედა და გემ-ხომალდთა მთავარ ნავთ სადგურებზე. 4—6—1


გამომც. გ. ყიფიანი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.